აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 15

31/08/2026 **ქ. ბათუმი**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 04 ოქტომბრის №8 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 04 ოქტომბრის №8 განკარგულება.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე პაატა კეშელავა

კომისიის მდივანი ტარიელ გოგიტიძე